ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საჯარო სამართლის იურიდიული პირის,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

გია მაჭარაძის, პ/ნ 01006007746

წარმომადგენელი, ბუდუ რამიშვილის პ/ნ 01027035998,

მის.: ქ. თბილისი, მირიან მეფის 25, ბ. 95

ტელ.: 577255844, ელ-ფოსტა: buduramishvili@gmail.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შიდა წარმოების ჩატარებაზე და მის მიერ გაცემული აქტის კანონიერების შესწავლაზე

სადავო აქტი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება № 6217539 (განცხადების ნომერი: AR1931610, გაცემის თარიღი: 28/11/2022).

ფაქტობრივი გარემოებები:

1. მოგახსენებთ, რომ ჩემი მარწმუნებლის, გია მაჭარაძის საკუთრებაშია უძრავი ქონება, მდებარე მისამართზე ქალაქი თბილისი , ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N7, სართული 2, ბინა N3, ს/კ 01.14.08.001.056.01.003.
   (იხ. დანართი 1: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან)
2. ამავე მისამართზე, მიხეილ ინაშვილის (პ/ნ 01308065423) საკუთრებაშია შენობის პირველ სართულზე მდებარე ბინა N1, ს/კ 01.14.08.001.056.01.001. აღნიშნული ბინა მდებარეობს უშუალოდ გია მაჭარაძის საკუთრებაში არსებული N3 ბინის ქვემოთ.
   (დანართი 2: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან)
3. მიხეილ ინაშვილის ბინას ტერასის ნაწილზე მოწყობილი იყო მცირე სიღრმისა და სიგანის საჩრდილობელი, რომელიც გათვალისწინებული იყო აღნიშნული ბინის არქიტექტურული პროექტით (ბრძანება № 2796304).
   (დანართი N3: ნებართვა, შეთანხმებული ფასადი)

4. მიუხედავად ამისა, მიხეილ ინაშვილმა მიმართა არქიტექტურის სამსახურს განცხადებით N AR1931610 და მოითხოვა საჩრდილობლის მოწყობა ს.კ. 01.14.08.001.056.01.001 საცხოვრებელი ბინის აივნის მთლიან პერიმეტრზე. არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით № 6217539 (გაცემის თარიღი: 28/11/2022) შეთანხმდა საჩრდილობლის კონსტრუქციის მოწყობა.
(დანართი 4: 6217539 გადაწყვეტილება)
5. 6217539 გადაწყვეტილებით არქიტექტურის სამსახური დაეთანხმა საჩრდილობელს მოწყობას შემდეგ სახით:
საჩრდილობელი არის 11 მეტრზე მეტი განის, 3 მეტრზე მეტრი სიღრმის შენობის ერთ მხარეს, ხოლო მას ებმის საჩრდილობლის მეორე, 2.8 მ განისა და 1 მ. სიღრმის მქონე ნაწილი. ჯამში მისი ფართობი აღემატება 36 კვ. მეტრზს, თუმცა ფოტომონტაჟი არ იძლევა იმის გაგების საშუალებას, თუ რა საიღმე უნდა ჰქონდეს. კერძოდ, საჩრდილობლის რომლის სრული სიღრმის დადგენა ფოტომონტაჟიდან საერთოდ შეუძლებელია. მხოლოდ ის დგინდება, რომ საჩრდილობლის მეორე ნაწილიდან, მისი პირველი ნაწილის გამოწევა შეადგენს 3 მეტრს, მაგრამ ვერ დგინდება რამდენია მისი გამოწევა კედლიდან. შესაბამისად იმისი ზუსტად დადგენა, რამდენად აღემატება 36 მეტრს, შეუძლებელია).
(იხ. დანართი 5: ფოტომონტაჟი)
6. აღნიშნული სახით სარჩდილობელი იწყება უშუალოდ სადარბაზოს კედლიდან, აღწევს გია მაჭარაძის აივნის მოაჯირამდე და მისი მეორე ნაწილი მიყვება გია მაჭარაძის აივნის მოაჯირის გვრედს.
7. საჩრდილობელი პირდაპირ მიყვება უშუალოდ გია მაჭარაძის ბინის ვიტრაჟსა და ფანჯრებს.
8. საჩრდილობლის კონსტრუქცია შენობას ემაგრება ჰორიზონტალურად და მას არ გააჩნია საყრდენი ბოძები ან სხვა საშუალება, რომელიც უზრუნველყოფდა საჩრდილობლის ვერტიკალურად დაყრდნობას.
9. საჩრიდლობლის დახრის გრადუსი ფოტომონტაჟში არ არის მითითებული.
10. ასევე, მნიშვნელოვნია, რომ აღნიშნული საჩრდილობელი განთავსებულია სადარბაზოს ბაქნის სიმაღლეზე (განსხვავებით, მანამდე არსებული, პროექტით გათვალისწინებული მცირე ზომის საჩრდილობლისგან, რომელიც არ უსწორდეობა სადარბაზოს ბაქანს), ხოლო დაშორება საჩრდილობელსა და სადარბაზოს ბაქანს შორის არის მხოლოდ 1.10 მეტრი, რაც შესაძლებელს ხდის ადამიანი თავისუფლად გადავიდეს სადარბაზოს ბაქნიდან ერთი ნაბიჯით აღნიშნულ საჩრდილობელზე და შემდეგ გია მაჭარაძის აივანზე. შესაბამისად, მოწონებული საჩრდილობელი შესაძლებელს ხდის გია მაჭარაძის ბინაში შეღწევას, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, სადარბაზოდან, საჩრდილბელზე ფეხის გადაბიჯებით. სადარბაზოდან ნებისმიერ პირს შეუძლია გადავიდეს

საჩრდილობელზე, მივიდეს და შევიდეს გია მაჭარაძის აივანზე, ასევე, მისი ვიტრაჟის ფანჯრებში, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.

11. საჩრდილბელი, იმდენად ღრმა და განიერია, რომ წვიმის დროს მასზე დაგროვილი ნალექები, ასევე წვიმის შხეფები პირდაპირ შედის გია მაჭარაძის აივანზე და საერთოდ შეუძლებელს ხდის მისი ვიტრაჟის სარკმლებით სარგებლობას, რადგან სარკმლის გაღების შემთხვევაში წვიმა პირდაპირ სახლში, ოთახში აღწევს.
12. სადავო საჩრდილობელის დიდი ფართობი (სულ ცოტა 36 მეტრი) და შავი ფერი მზის სხივების ზემოქმედებით ხურდება და მისგან მომავალი მაღალი ტემპერატურა გაუსაძლისს ხდიდ გია მაჭარაძის ბინის აივნით სარგებლობას, ისევე, როგორც ვიტრაჟის სარკმლების გაღებას.
13. საჩრდილობლის მასალა ფოტომონტაჟიდან არ ირკვევა, შესაბამისად, არც იმაზე არის მითითება, ადვილად აალებადი მასალით კეთდება თუ რაიმე ხანძარმედეგობის მახასიათებლის მქონე მასალით. ფაქტიურად, საჩრდილებელი მოწყობილია ადვილად აალებადი პლატიკატის მასალით, რაც, შესაძლებელს ხდის მას გაუჩნდეს და გადავიდეს გია მაჭარაძის ბინაში, ვიტრაჟიდან და აივნიდან.
14. საჩრდილობლის კონსტრუქცია იმგვარად არის მოწყობილი, რომ ტექნიკურად შეუძლებელია მისი უსაფთხოების უზრუნველყოფა. ასეთი განიერ და ფართო საჩრდილობელის მდგრადობას, ფოტომონტაჟით შემოთავაზებული ჰორიზონტალური სამაგრები, აშკარაა, რომ ვერ უზრუნველყოფს და შესაბამისად, მისი კონსტრუქციული მდგრადობა აშკარად საეჭვოა. ვფიქრობთ, მცირე ქარის შემთხვევაშიც, კონსტრუქცია ვერ გაუძლებს ზეწოლას და მთელი 36 კვ.მ. საჩრდილობელი ჩამოვარდება ეზოში, რამაც, ბუნებრივია შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მოსპობა.
15. აქვე, 3 მეტრზე მეტი სიგანის, პრაქტიკულად დახრის გარეშე, ჰორიზონტალური კონსტრუქცია უკარგავს მთელ ღირებულებას გია მაჭარაძი ბინის ვიტრაჟებსა და აივანს, რადგან, ეზო და ეზოს გამწვანება ფაქტიურად აღარ ჩანს მისი ბინიდან. ბუნებრივია, არქიტექტურის სამსახურს შენობის ამგავარი პროექტი რომ ჰქონოდა შეთნხმებული, იგი საერთოდ უარს იტყოდა ასეთ, სადარბაზოდან ადვილად ხელმისაწვდომ, სახანძრო უსაფრთხოების მხრივ დაუცველ, სახიფათო, ჭარბი ნალექებისგან დაუცველ, მზიან ამინდში ზედმეტად ცხელ და ეზოს ხედის არ მქონე და სადარბაზოდან ადვილად შეღწევადი ბინის შეძენაზე. ამდენად, იგი ენდო არქიტექტურის სამსახურის მეირ გაცემულ ნებართვას და დღემდე იმედოვნებს, რომ არიქტექტურის სამსახური არ შეცვლის მისი ბინის ღიებულებასა და მის საცხოვრებელ პირობებს დაუსაბუთებელი და უკანონო, კონსტრუქციულად არამდგრადი და სახიფათო კონსტრუქციის მოწონებით.

16. აღნიშნული გადაწყვეტილებით მოწონებული საჩრდილობელი უკვე მოწყობილია. იხილეთ ფოტოსურათები, რომ დარწმუნდეთ რამდენად უსახური და სახიფათო კონსტუქცია მოიწონა არიქტექტურის სამსახურმა.

<u>სამართლებრივი დასაბუთება:</u>

არქიტექტურის სამსახურის მიერ მოწონებული საჩრდილობელი, არღვევს სამშენებლო კოდექსის ძირითად პრინციპს - ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფას. მოწონებულ ფოტომონტაჟზე არც საჩრდილობლის დახრის გრადუსია გათვალისწიენბული (რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სხვა მესაკუთრეზე გავლენის დასადგენად (ნალექების დაგროვების თავიდან ასაცილებლად, ქარის დროს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად), არც საჩრდილობლის ასეთი (3 მ.-ზე მეტი) სიღრმის აუცილებლობაა დასაბუთებული, არც მისი სიგრანის აუცილებლობა (ჯამში 12.05 მ.), არც ზედა მეზობლის ინტერესები, რომელიც, სადავო აქტის ძალაში დატოვების შემთხვევაში ფაქტიურად იძულებული გახდება უსაფრთხოებ უზრუნველყოს უკვე აივანზე და ვიტრაჟებზე გისოსების განთავსებით (რისი განთავსების არც სურვილი აქვს მას, ვერ დაავალდებულებს მას არქიტექტურის სამსახური, რადგან მან ბინა ისეთი სახით შეიძინა, როგორიც პროექტით არის გათვალისწინებული, და მისთვის მიუღებელია გისოსებიანი ვიტრაჟები და აივანი და რასაც, ისედაც, ვეჭვოთ არ შეითანხმებს არქიტექტურის სამსახური, რომელიც მიიჩნევს ამგვარ გისოსებს შენობის იერსახესთან შეუსაბამოდ). ასევე, მეზობლისთვის შეუძლებელი ხდება თავისი აივნით სარგებლობა ნალექიან დღეებში, რადგან სათანადო დახრის გარეშე მოწყობილი და დაუსაბუთებლად ღრმა საჩრდილობლიდან უხვი ნალექი პირდაპირ მის აივნაზე და ვიტრაჟის სარკელში შეედინება. აქვე, გია მაჭარაშვილი ენდო არქიტქურის სამსახურს, როდესაც შეიძინა ბინა, რადგან სწორედ არიქტურის სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტი ითვალისწინებდა მისი ქვედა მეზობლისთვის მცირე ზომის საჩრდილობელს, და არა უშველებელ, 36 კვ.მ. საჩრდილობელს, რომელიც მისი ბინის მთელ პერიმეტრს მიუყვება ფადასდის ერთ მხრარეს, რომელიც ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომს ხდის მის აივანზე გადასხვლას სადარბაზოდან, რომელიც არ აკმაყოფილებს არავითარ უსაფრთხოების სტანდარტსა და რომლის მოწყობაც კონსტრუქციულად დაუშვებელია. ამდენად, არქიტექტურის სამსახური ვალდებული იყო წარმოებაში დაინტერესებულ პირად ჩაერთო გია მაჭარაშვილი, გაეთვალისწინებინა მისი ინტერესები, მოეთხოვა კონსტრუქციული დასკვნა ამგვარი, აშკარად კონსტრუქციულად არამდგრადი ნაგებობის განთავსებაზე. სათანადო მოკვლევის შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახური არ მოიწონებდა ფოტომონტაჟზე გამოსახულ საჩრდილობლის კონსტრუქციას, რომლიც არც შენობის არქიტექურულ

პროექს შეესაბამება, არც პროექტის ავტორის თანხმობით არის შედგენილი, რომლიც ამახინჯებს შენობის ვიზუალს, აუარესებს ზედა მეზობლის უსაფრთხოებას, რომლის განთავსების არც საჭიროება არსებობს და არც აუცილებლობა, რომელიც ეზოში გავლასაც კი სახიფათოს ხდის ადამინის სიცოცხლისა და ჯანრთელობისთვის. ამდენად, ვფიქრობთ, რომ სათანადო მოკლვევის შემთხვევაში არქიტურის სამსახურმა ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, უნდა გააუქმოს მის მიერ გაცემული გადაწყვეტილება, რომელიც დაუსაბუთებელ ზიანს აყენებს გია მაჭარაშვილს, ეწინააღმდეგება შენობის ვიზუალურ აღქამასა და ღირებულებას და ქმნის ხანძრის, ასევე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხეს.

მოთხოვნა:

გთხოვთ ბათილად ცნოთ

დანართი 1: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (2 ფურცლად)
დანართი 2: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (2 ფურცლად)
დანართი 3: ბრძანება 2796304 და ფასადის გეგმა (4 ფურცლად)
დანართი 4: გადაწყვეტილება № 6217539 (2 ფრუცლად)
დანართი 5: ფოტომონტაჟი (1 ფურცლად)
დანართი 6: ფოტოსურათები (4 ფურცლად)
დანართი 7: მინდობილობა (2 ფურცლად)

სულ: 22 ფურცელი

პატივისცემით,

ბუდუ რამიშვილი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.14.08.001.056.01.003**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882019443301 - 05/06/2019 16:24:04	**11/06/2019 11:03:50**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი		ვაკე		
01	**14**	**08**	**001/056**	**01/003**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N7

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**

ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**

დაზუსტებული ფართობი:1108.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: **1/4,1/27,1/29,1/30,1/31,1/32,1/33,1/34,1/37,1/48,1/49;01;01.14.08.001.0-1;**

შენობა-ნაგებობები: **N1 საერთო ფართი: 3287.6 კვ.მ. მათ შორის საცხოვრებლი ფართი: 1560.5 კ.ვ.მ. საბაფხულო ფართი: 280.5, კომერციული ფართი: 595.7 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 399.7, ავტოსადგომის ფართი: 451.2 კვ.მ.**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019196470 , თარიღი 18/03/2019 16:32:22
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/03/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება N 01.14.08.001.056.01.003/01 , დამოწმების თარიღი:18/03/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
გია მაჭარაძე,P/N: 01006007746

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
გია მაჭარაძე	საკუთრება	**ფართი**(მშენებარე) **სართული2,ბინა N3,**	162.27 კვ.მ.	
	საკუთრება	**ტერასა**(მშენებარე)	17.06 კვ.მ.	

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019197168 თარიღი 18/03/2019 19:04:06

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;
მესაკუთრე: გია მაჭარაძე P/N: 01006007746;
საგანი:ფართი სართული2,ბინა N3, 162.27 კვ.მ., ტერასა 17.06 კვ.მ.;

იპოთეკის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N8932290-01, დამოწმების თარიღი18/03/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/03/2019

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მილებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, ოსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ოსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.14.08.001.056.01.001**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 892021120804 - 28/12/2021 17:14:38	**11/01/2022 13:16:13**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი		ვაკე		
01	**14**	**08**	**001/056**	**01/001**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N7

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**

ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**

დაზუსტებული ფართობი:**1108.00** კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:
1/4,1/27,1/29,1/30,1/31,1/32,1/33,1/34,1/37,1/48,1/49;01;01.14.08.001.0-1;

შენობა-ნაგებობები: **N1 საერთო ფართი: 3287.6 კვ.მ. მათ შორის საცხოვრებელი ფართი: 1560.5 კ.ვ.მ. საბაფხულო ფართი: 280.5, კომერციული ფართი: 595.7 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 399.7, ავტოსადგომის ფართი: 451.2 კვ.მ.**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892021120804 , თარიღი 28/12/2021 17:14:38
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/01/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სამკვიდრო მოწმობა N220008311 , დამოწმების თარიღი:06/01/2022 ,ნოტარიუსი ქ.ჩხიკვაძე

მესაკუთრეები:
მიხეილ ინაშვილი ,P/N: 01308065423

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
მიხეილ ინაშვილი	საკუთრება	**ფართი სადარბაზო1,სართული1,ბინა N1,**	204.96 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, ოსტიციის სახლებსა და სააგენტოს აეტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ოსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 2796304

გაცემის თარიღი: 25/08/2016 გაცნობის თარიღი: 25/08/2016

განცხადების ნომერი: AR1423815
შემოსვლის თარიღი: 18/07/2016
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.08.001.056
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით., კორპ. N6
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1108.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "MG Capital" (205188447)

ნომენკლატურა :

- **მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი**
- **IV კლასი**
- **შეთანხმებული პროექტის ცვლილება**
- **პროექტის შეთანხმება**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- მისამართი: თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: #2202284 (#335; 17.09.2015წ.)
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 22.09.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, კორპუსი 6 (6 სექტორი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი სულაბერიძე
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს არტსტუდიო პროექტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204489393

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "მეტრა დეველოპმენტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404982033
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნატალია გლინსკაია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01003010159

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1108.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 589.8
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 3287.6
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1560.5
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 595.7
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 280.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 399.7
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 451.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 16255.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 10895.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 5359.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 29.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 18.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 10.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 574.5კვ.მ. კ-1=0,5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2456,2კვ.მ. კ-2=2,2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 225,0 კვ.მ. კ-3=0,2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 2395522
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 27.01.2016

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2411131
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.02.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ბრძანება

შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სექტორი (ვაკე), ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო #01.14.08.001.056) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი #6-ის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

- სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.
- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

ფასადი 1-10 ღერძებში მ. 1:150



ფორმატი PAPER SIZE	დაკვეთა № CONTRACT #	პროექტის № PROJECT #	ფაილის სახელი FILE NAME
A-3			

პირობითი აღნიშვნები LEGEND

- f-N — კარ-ფანჯრის მარკირება
- 6.60 — კონსტრუქციული ნიშნული
- ღერძის ხაზი
- კომპაქტ-ლამინატით მოპირკეთება
- ქვით მოპირკეთება
- ამოსაშენებელი კედელი

შენიშვნები NOTES

* კედლების საღებავის და მოაჯირის ფერი შეთანხმდეს ავტორთან

სიტუაციური სქემა KEY PLAN

დამკვეთი CLIENT	შპს "MG Capital"
პროექტი PROJECT	სახლი №6 პროექტის კორექტირება
მისამართი ADDRESS	ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ბაგების მიმდებარედ, წყნეთის გზატკეცილის სამხრეთით

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ი.საალვინი	
მთ.არქიტექტორი	გ. სულაბერიძე	
	რ.ხეცურიანი	
არქიტექტორი	გ.გვგელაშვილი	
დაამუშავა	გ.გვგელაშვილი	

ARTSTUDIO PROJECT
არტსტუდიო პროექტი
შ.პ.ს. "არტსტუდიო პროექტი"
0709 თბილისი, ბ. ტაბიძის ქ. 3/5,
ტელ/ფაქსი: (+995 32) 998640, 920607
www.artstudio.ge
E mail: artstudio_project@yahoo.com
info@artstudio.ge

არქიტექტურული ნაწილი ARCHITECTURE

მასშტაბი SCALE	1:150	თარიღი DATE OF ISSUE	11/07/2016

ნახაზი DRWG.	კორექტირება REVISIONS		
ფასადი1-10 ღერძებში	№	კორექტ. REV.	თარიღი DATE
	1		
	2		
	3		
	4		
	5		

სტადია STAGE	ინდექსი INDEX	ფურც. PAGES
მუშა პროექტი		

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 6217539

გაცემის თარიღი: 28/11/2022 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1931610
შემოსვლის თარიღი: 01/11/2022
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.14.08.001.056
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N7
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1108.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "MG Capital" (205188447)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **საჩრდილობლის მოწყობა**
  რეკონსტრუქცია

დამკვეთი - განმცხადებელი:

- დავით ვაშაკიძე პ/ნ 01024003923
- მისამართი: თბილისი ატენის ქ. N 18

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N7, საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე საჩრდილობლის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №892021120804 11/01/2022წ. საკადასტრო კოდი № 01.14.08.001.056.01.001, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა N7, საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე საჩრდილობლის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან)1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი


დამონტაჟდება მსუბუქი კონსტრუქციის
საპროექტო საჩრდილობელი
ს.კ. 01.14.08.001.056.01.001
საცხოვრებელი ბინის აივნის თავზე
1.00
3.55
7.50
3.30
2.90
2.80
3.00
7.90
1.10
0.00









სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

77780025479823

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230918054

რეგისტრაციის თარიღი

10.07.2023 წ

ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი:
მიხეილ შელია
მისამართი:
ტელეფონი:

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასს ოცდასამი წლის **10 ივლისს**, ქ. ადის აბებაში, საქართველოს საელჩოში, რომელიც მდებარეობს ქ. ადის აბებაში, კირკოს სუბ სითი, კებელე: 02/03, სახლი N 717, ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში საკონსულო ფუნქციების შემსრულებელთან **მიხეილ შელიასთან** გამოცხადდა საქართველოს მოქალაქე **გია მაჭარაძე** (დაბადებული: **20.02.1969** წ. ამჟამად ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში დროებით მყოფი, პირადი ნომერი: **01006007746**, საქართველოს მოქალაქის დიპლომატიური პასპორტი **N10DP04970**, გაცემული **22.03.2022** წ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო), რომელმაც მთხოვა შემდეგი მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე შეგამოწმე მისი ქმედუნარიანობა, პირადობა დავადგინე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, ტექსტი მინდობილობის გამცემ მხარეს წაეკითხა ხმამაღლა, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ მინდობილობას, რაც დავამოწმე.

მინდობილობა

ამ მინდობილობით, მე, **გია მაჭარაძე (პ/ნ 01006007746)** (შემდგომში მარწმუნებელი), ვენდობი **ბუდუ რამიშვილს, პ/ნ 01027035998** (შემდგომში რწმუნებული) და **ქეთევან მათურელს, პ/ნ 01001089396** (შემდგომში რწმუნებული):

- რწმუნებული უფლებამოსილია დაიცვას მარწმუნებლის პირადი ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები და ამ მიზნით მარწმუნებლი წარმოადგინოს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში, მის ნებისმიერ დაწესებულებაში, სტრუქტურულ ან/და ტერიტორიულ ერთეულში, კერძო აღმასრულებელთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში და აწარმოოს შესაბამისი ადმინისტრაციული საქმე. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილი საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება, საჩივარი ან სარჩელი სასამართლოში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და საქალაქო სამსახურში და სსიპ-ებში, მათ შორის, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, იურიდიულ საქალაქო სამსახურში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა – განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და – ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, უარი თქვას გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად.
- არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებლად მარწმუნებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
- მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.
- რწმუნებულები უფლებამოსილებას ახორციელებენ ერთად ან ცალ-ცალკე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი გადაეცა მარწმუნებელს, ხოლო ერთი ინახება ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

ხელმოწერა _____

„საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, 1-ლი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, თავისუფლდება საკონსულო მოსაკრებლის გადახდისაგან.

ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში
საკონსულო ფუნქციების შემსრულებელი

მიხეილ შელია